საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 13/30 „02" 12 2015 წ.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება #13

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსის დანიშვნის შესახებ

"სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული 2014 წლის 8 ოქტომბრის ფაკულტეტის საბჭოს №9 ოქმითა და თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 9 ოქტომბრის №6 ოქმით) 33-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის 2015 წლის 1 დეკემბრის სხდომის №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნოს ასისტენტ პროფესორი ნინო ჭალაგანიძე;

2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას;

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge

ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების
ფაკულტეტის დეკანს, ქ-ნ თამარ დოლბაიას
ამავე უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმი-
ნისტრაციის და პოლიტიკის [illegible]
დოქტორანტის [illegible] [illegible]
ხათუნა მაისჭილის

განცხადება

გთხოვთ დოქტორანტის სტატუსის შეჩერება, რომელიც ვიღებ ა.წ. 1 დეკემბრის, - ოჯახური მდგომარეობის გამო.

[signature] — ხათუნა მაისჭილი

2 დეკემბერი 2015 წ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
შემოსული № 1844 6 გვ.
"02" 12 2015.
ხელმოწერა ა. [signature]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის საბჭოს
2015 წლის 1 დეკემბრის სხდომის

ოქმი № 3

სხდომას ესწრებოდა 17 წევრიდან – 12.

17.00 სთ

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:ასოცირებული პროფესორები: თ. ჯოლოგუა,ი. ბიჭიკაშვილი, მ.წერეთელი, მ. შამილიშვილი, ნ. კუპრაშვილი, ნ. ტალახაძე, ასისტენტ-პროფესორები: ნ. ჭალაგანიძე, მ. ლომიძე, ხ. კაჭარავა, ხ. მაისაშვილი, თ. მჟავანაძე, მ. მემანიშვილი.

კრებამ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია ასისტენტ პროფესორი ხ. მაისაშვილი, ხოლო მდივნად – ასოცირებული პროფესორი მ.შამილიშვილი. კრების მთელი მიმდინარეობა მდივანმა აუდიოოქმში შეიტანა.

სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრა წინმსწრები სხდომის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად. კერძოდ, ამა წლის 27 ნოემბერს გამართულ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის საერთო კრებაზე მონაწილეებმა მოითხოვეს განმეორებითი კრების დანიშვნა 1 დეკემბერს, 17 საათზე და კენჭისყრის შედეგად, ერთხმად დაადგინეს შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. 2015 წლის 1 დეკემბერს, 17 საათზე გაიმართოს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის საბჭოს/აკადემიური პერსონალის საერთო კრება, რომლის დღის წესრიგი განისაზღვროს ერთადერთი საკითხით - დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევნები, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (მუხლი 33.2) შესაბამისად.
2. ასოცირებული პროფესორის, ნათია კუპრაშვილის ინიციატივით, სხდომის დღის წესრიგს დაემატა მეორე საკითხიც: საბაკალავრო პროგრამაზე მუშაობის დაგეგმვის თაობაზე, რაზედაც სხდომის მონაწილეთა თანხმობა კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1) კომისიის თავმჯდომარის, ასისტენტ პროფესორის ხათუნა მაისაშვილის ინფორმაცია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევის შესახებ, რაც თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებითაა (მუხლი 33.2) განსაზღვრული.

საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე, ნ. კუპრაშვილმა მოითხოვა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების იმ მუხლის გაცნობა, რომლითაც სასწავლო – სამეცნიერო დეპარტამენტის პერსონალისა და საბჭოს უფლებამოვალეობებია განსაზღვრული (მუხლი: 34.1; მუხლი: 35). შესაბამისი მუხლები დამსწრეებს გააცნო სხდომის მდივანმა. მეტი სიცხადისთვის სხდომამ მოიწვია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რ. ჯორბენაძე, რომელმაც დებულების შესაბამისად განმარტა დეპარტამენტის საბჭოს უფლებამოსილება და ხელმძღვანელის არჩევის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები. მან დაადასტურა, რომ აქამდე ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევნების პრეცედენტი არ არსებობდა.

აზრი გამოთქვეს:

ასოცირებულმა პროფესორმა ირა ბიჭიკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა, ხელმძღვანელობის საკითხი პროფესორ მარიამ გერსამიას მონაწილეობით გადაწყვეტილიყო. ამასთანავე, მოითხოვა დასაბუთება, ახალ წამოწყებას რა უძღოდა წინ, რა საფუძველზე იყო დამყარებული დეპარტამენტის ადრინდელი ხელმძღვანელის უფლებამოსილება. რაზედაც მას განემარტა, რომ ეს იყო არაფორმალური, ე.წ. დათქმითი პოზიცია და არა - არჩევითი. ასისტენტ პროფესორმა ნ. ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ არჩევნების ჩატარების აუცილებლობა გამოიწვია კოორდინაციის არარსებობამ, რაც პროგრამული აკრედიტაციის წინ გადაულახავ პრობლემებს ქმნის. მის ამ განცხადებას დამსწრეთა უმრავლესობა დაეთანხმა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საჭირო განმარტებები გაკეთდა.

მან დააყენა საკითხი დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევის შესახებ და აღნიშნა, რომ საარჩევნო პროცესი უნდა წარიმართოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების შესაბამისად და სხდომის მონაწილეებს ამ პოსტზე კანდიდატურების დასახელება სთხოვა. ასოცირებულმა პროფესორმა, მარი წერეთელმა თამაზ ჯოლოგუას კანდიდატურა წამოაყენა. ამავე კანდიდატს დაუჭირა მხარი ასისტენტ პროფესორმა თეა მჟავანაძემ, თ. ჯოლოგუას უარის შემდეგ, მ. წერეთელმა ასოცირებული პროფესორის ნათია კუპრაშვილის კანდიდატურა

დაასახელა. ასოცირებულმა პროფესორმა ირა ბიჭიკაშვილმა ასოცირებული პროფესორის, მარი წერეთლის კანდიდატურა შესთავაზა დამსწრეებს, ხოლო ასოცირებულმა პროფესორმა ნანა ტალახაძემ კი, ასისტენტ პროფესორის, ნინო ჭალაგანიძის კანდიდატურა წამოაყენა. თ. ჯოლოგუას მსგავსად, კანდიდატურები მოხსნეს მარი წერეთელმა და ნათია კუპრაშვილმა. თ. ჯოლოგუამ მიზეზად დატვირთული შრომითი გრაფიკი დაასახელა, მ. წერეთელმა თქვა, რომ ამ ეტაპზე ეს სწრაფვა არ გააჩნდა და ვერც ამის ძალას გრძნობდა, ხოლო ნ.კუპრაშვილმა, თ. ჯოლოგუას მსგავსად, დატვირთული სამუშაო დაასახელა. ამასთანავე, აღნიშნა, რომ ვინც ამ მოვალეობას იტვირთებს, დიდი პასუხისმგებლობის აღება მოუწევს საკუთარ თავზე, ამ გართულებულ სიტუაციაში და მას სრული მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა.

ნინო ჭალაგანიძემ თავის სიტყვაში პატივისცემა გამოუცხადა სხდომის მონაწილეებს და გამარჯვების შემთხვევაში, მშვიდი, კონსტრუქციული გარემოს შექმნის პირობა დადო.

დაადგინეს:

1. თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურის არჩევა განხორციელდეს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით

ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ საკითხი ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურის არჩევის შესახებ კენჭისყრაზე დააყენა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს 12-ივე წევრმა, აქედან 11-მა ხმა მისცა ნინო ჭალაგანიძის კანდიდატურას, ხოლო ერთმა – ირა ბიჭიკაშვილმა თავი შეიკავა იმ მიზეზით, რომ თავისი ფავორიტი ჰყავდა – მ. წერეთლის სახით, რომელმაც საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.
დაადგინეს:

1. თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ხმათა სიითი უმრავლესობით არჩეული იქნა ასისტენტ პროფესორი ნინო ჭალაგანიძე.
2. ეთხოვოს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს დაამტკიცოს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის საბჭოს მიერ არჩეული კანდიდატი ნინო ჭალაგანიძე დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.
3. მიეცეს დავალება სხდომის თავმჯდომარეს, რომ დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია, კრების დადგენილების შესახებ.

მოისმინეს:

2) კომისიის თავმჯდომარის, ასისტენტ-პროფესორის ხათუნა მაისაშვილის ინფორმაცია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის პროცესის განსაზღვრის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ნ. კუპრაშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ და სხვებმა სხდომაზე აღნიშნეს, რომ საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყვეტასა და სამუშაო პროცესში პროფესორთა აქტიურ ჩართულობას მოითხოვს, შესაბამისად, საჭიროა უახლოეს პერიოდში საერთო კრების მოწვევა და პროგრამაზე აქტიური მუშაობის დაწყება. მომდევნო სხდომის დღედ დაინიშნა 3 დეკემბერი, 18 საათი.

დაადგინეს:

2015 წლის 3 დეკემბერს, 18 საათზე გაიმართოს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის საბჭოს საერთო კრება, რომლის დღის წესრიგი განისაზღვროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის პროცესის დაგეგმვის საჭიროებით.

სხდომის თავმჯდომარე:

ხ. მაისაშვილი, ასისტენტ პროფესორი

სხდომის მდივანი:

მ. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი:

ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის
სხდომის სია. 1.12.2015.

1. თამაზ ჯოლოიძე
2. ირინა ბიჭიკაშვილი ი. ბიჭიკაშვილი
3. ხათუნა მაისაშვილი
4. ხათუნა კაჭარავა ხ. კ.
5. ნინო ჭილიკაძე
6. მარინე ლომიძე
7. ნათია კუჭაშვილი
8. მაგდა მემანიშვილი მ. მემანიშვილი
9. თეა მუავინაძე თ. მუავინაძე
10. მარი წერეთელი -
11. მანანა შამილიშვილი - მ. შამილიშვილი
12. ნანა ტულოხაძე ნ.